

ოლიგარქების როლი რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში,
უკრაინისა და მოლდოვის მაგალითებზე

ელა მიქელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების
პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მამუკა კომახია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელა მიქელაძე

2020 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია რუსი, უკრაინელი და მოლდოველი ოლიგარქების როლი რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში.

კვლევის მიზანია საერთაშორისო პოლიტიკაში ოფიციალური მოსკოვის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მიღწევის პროცესში, ოლიგარქის, როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტის, როლის გარკვევა და ანალიზი. აღნიშნულისთვის მოყვანილია პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე ოლიგარქიული ქვეყნების, უკრაინისა და მოლდოვის, მაგალითები, სადაც ოლიგარქები სხვადასხვა სფეროში აქტივების მფლობელები არიან და მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქვეყნის პოლიტიკასა და ეკონომიკაში.

ნაშრომის საკვლევ კითხვას წარმოადგენს: რა როლი აქვთ ოლიგარქებს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის იმპლემენტაციაში? კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის თანახმად: ოლიგარქები წარმოადგენენ რუსეთის ფედერაციის (შემდგომში რფ) საგარეო პოლიტიკის წარმოების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს პოლიტიკასა და ეკონომიკაში გავლენების შესანარჩუნებლად და რბილი ძალის, მათ შორის პრორუსული პროპაგანდის ხელშეწყობით სეპარატისტული განწყობების, გასაძლიერებლად.

ნაშრომში თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდებია გამოყენებულია, როგორცაა შემთხვევის შესწავლის (Case Study) მეთოდი, რომელიც გვეხმარება პრობლემა სიღრმისეულად შევისწავლოთ, ასევე, პროცესის მიდევნების (Process Tracing) მეთოდი, რომელიც გვეხმარება საკითხის მთლიანი კონტექსტის დანახვასა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენაში; ანალიტიკური ნაშრომებისა და პუბლიკაციების შესწავლისთვის ვიყენებთ სამაგიდო კვლევის (Desk Research) და დისკურს ანალიზის მეთოდებს (Discourse Analysis). ასევე, ინფორმაციის სიღრმისეულად მოპოვების მიზნით ჩატარდა ინტერვიუები დარგის უცხოელ და ქართველ ექსპერტებთან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნების იმპლემენტაციის პროცესში, რუსეთის ფედერაციისთვის, ოლიგარქია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად

და „რბილი ძალის“ გატარების ხელშეწყობის კუთხით. ასევე, რუსეთისთვის ოლიგარქები წარმოადგენენ ისეთ საგარეო პოლიტიკურ ინსტრუმენტს და საშუალებას, რომელსაც რფ-სთვის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მოტანა შეუძლია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ოლიგარქია, ოლიგარქები, ბიზნესმენო, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, მოლდოვა.

Abstract

The present master's thesis discusses the origins of Russian, Ukrainian and Moldovan oligarchs and their role in the foreign policy of the Russian Federation.

The aim of the study is to clarify and analyze the role of the oligarchy, as one of the instruments of the foreign policy of the Russian Federation, in the process of achieving the political and economic goals of official Moscow in international politics. For this reason, this paper discusses the examples of one of the most oligarchic countries in post-soviet space, where oligarchs own assets in various fields and play an important role in the country's politics and economy.

The research question of the paper is: What role do oligarchs play in the implementation of the foreign policy of the Russian Federation? And the hypothesis: oligarchs are an important tool in the foreign policy of the Russian Federation (hereinafter referred to as the RF) in order to maintain influence in politics and the economy and to strengthen separatist attitude, with the help of „soft power“, including pro-Russian propaganda. The paper uses qualitative research methods such as Case Study, which helps us to study the problem in depth. The paper also uses the Process Tracking method, which helps us see the whole context and analyze cause-and-effect link. We use Desk Research method to study analytical papers and publications and Discourse Analysis Method. Also, interviews were conducted with Foreign and Georgian experts of the field, in order to obtain in-depth information.

The study found that in the process of implementing Russia's foreign policy goals, the oligarchy is one of the most important tools for achieving political goals and promoting „soft power“, for the Russian Federation. Also, for Russia, the oligarchs are a foreign policy tool that can bring maximum profit with minimal spending to the RF.

Key words: oligarchy, oligarchs, businessman, Russian Federation, Ukraine, Moldova